

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
სამშენებლო ფაკულტეტის საბჭოს სხდომის
ოქმი № 26

25. 05.2018 წ.

2018 წლის 25 მაისს შედგა სამშენებლო ფაკულტეტის საბჭოს სხდომა.

სხდომას უნდა დასწრებოდა სიითი შემადგენლობის 215 წევრი, დაესწრო 139 წევრი.

(დასწრების სია თან ერთვის ოქმს)

დღის წესრიგი:

1. ინფორმაცია მოდიფიცირებული პროგრამების შესახებ.

მომხსენებელი ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი პროფესორი მ. ჯავახიშვილი;

2. სამშენებლო ფაკულტეტის სტუდენტების გრაფიკზე გადაყვანის შესახებ ინფორმაცია.

მომხსენებელი პროფესორი ი. ქადარია;

3. მიმდინარე საკითხები.

1. მოისმინეს: ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის პროფესორ მ. ჯავახიშვილის ინფორმაცია მოდიფიცირებული პროგრამების შესახებ. მან აღნიშნა, რომ პროგრამების მოდიფიცირების შემდეგ დაიდო ინდივიდუალური სასწავლო პროგრამა (გზები), რომლებიც შეთანხმებულია ყველა დეპარტამენტის ხელმძღვანელებთან. აღნიშნული პროგრამების მიხედვით თითოეული სტუდენტი ინდივიდუალური სასწავლო გზებით დაამთავრებს საბაკალავრო პროგრამებს.

2. მოისმინეს: სამშენებლო ფაკულტეტის დეკანის პირველი მოადგილის პროფესორ იური ქადარიას ინფორმაცია სტუდენტებისათვის 2018-2019 სასწავლო წლის მეორე სემესტრში გრაფიკის დანიშვნის შესახებ. მან საბჭოს მოახსენა, რომ სამშენებლო ფაკულტეტზე სულ შემოსულია 191 განცხადება, რომელთაგან რეკომენდაცია გაეწია 153 სტუდენტს.

დაადგინეს: წარმოდგენილ 153 სტუდენტს გაეწიოს რეკომენდაცია სტუ-ს აკადემიური საბჭოს წინაშე გრაფიკის დასანიშნად.

დადაგენილება მიღებულ იქნა ერთხმად.

მიმდინარე საკითხებში მოისმინეს: ფაკულტეტის მენეჯერის პროფესორ გინა გურეშიძის ინფორმაცია. მან აღნიშნა, რომ:

1. სამშენებლო ფაკულტეტის ფაკულტატშორისი დეპარტამენტის ასისტენტ პროფესორს კონსტანტინე ჭურაძეს გარდაეცვალა მამა.
2. სამშენებლო ფაკულტეტის №106 დეპარტამენტის ასოცირებულ პროფესორს ხათუნა ხატიურს ესაჭიროება გეგმიური ოპერაცია.
3. სამშენებლო ფაკულტეტის №106 დეპარტამენტის ინჟინერ-პროგრამისტს ზურაბ ისააკიანს გაუკეთდა ოპერაცია, ესაჭიროება ძვირადღირებული მკურნალობა.

დაადგინეს:

1. სამშენებლო ფაკულტეტის ბიუჯეტის „დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარების“ მუხლიდან სამშენებლო ფაკულტეტის ფაკულტატშორისი დეპარტამენტის ასისტენტ პროფესორს კონსტანტინე ჭურაძეს დახმარება გაეწიოს ერთი - თვის ხელფასის ოდენობით.
2. სამშენებლო ფაკულტეტის ბიუჯეტის „დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარების“ მუხლიდან სამშენებლო ფაკულტეტის №106 დეპარტამენტის ასოცირებულ პროფესორს ხათუნა ხატიურს დახმარება გაეწიოს - ერთი თვის ხელფასის ოდენობით.
3. სამშენებლო ფაკულტეტის ბიუჯეტის „დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარების“ მუხლიდან სამშენებლო ფაკულტეტის №106 დეპარტამენტის ინჟინერ-პროგრამისტს ზურაბ ისააკიანს დახმარება გაეწიოს - ერთი თვის ხელფასის ოდენობით.

დადგენილება მიღებულ იქნა ერთხმად.

მოისმინეს პროფესორ ალ. ბაგრატიონი-დავითაშვილის ინფორმაცია პროგრამების შესახებ. მან საბჭოს წარუდგინა განსახილველად ABET აკრედიტაციისათვის ორი. სასწავლო საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამა: 1. სამშენებლო ინჟინერია და 2. სამოქალაქო ინჟინერია.

დაადგინეს: წარმოდგენილ პროგრამებს გაეწიოს რეკომენდაცია სტუ-ს აკადემიური საბჭოს წინაშე დასამტკიცებლად.

დადაგენილება მიღებულ იქნა ერთხმად.

მოისმინეს სამშენებლო ფაკულტეტის დეკანის პროფესორ დავით გურგენიძის ინფორმაცია. მან აღნიშნა რომ:

1. ინტერნაციონალიზაციის მიზნით საზღვარგარეთის პარტნიორი უნივერსიტეტების მხრიდან მიღებულ იქნას ჩვენი მოდიფიცირებული პროგრამების 1. სამშენებლო ინჟინერია და 2. სამოქალაქო ინჟინერია თავსებადებაზე დასკვნა. ამისათვის კენჭსყრაზე

დააყენა პროფესორ ზ. გვიშიანის პოლონეთში ბელოსტოკის უნივერსიტეტში მივლინების და საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობის საკითხი.

საბჭომ ერთხმად დაუჭირა მხარი დეკანის მიერ სარმოდგენილ ინფორმაციას.

დაადგინეს: პროფესორი ზ. გვიშიანი მივლინებულ იქნას პოლონეთში ბელოსტოკის უნივერსიტეტში 2018 წლის 24 ივნისიდან 27 ივნისამდე.

მოისმინეს: სამშენებლო ფაკულტეტის დეკანის პროფესორ დავით გურგენიძის ინფორმაცია. მან აღნიშნა რომ, ინტერნაციონალიზაციის მიზნით საზღვარგარეთის პარტნიორი უნივერსიტეტის მხრიდან მიღებულ იქნას სამშენებლო ფაკულტეტის საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო მოდიფიცირებული პროგრამების თავსებადებაზე დასკვნა და ასევე, გაფორმდეს გრძელვადიანი თანამშრომლობის მემორანდუმი საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და კარსლუეს გამოყენებითი მეცნიერების უნივერსიტეტს შორის. ამისათვის კენჭისყრაზე დააყენა პროფესორ ვახტანგ ბალავაძისა და პროფესორ ალექსანდრე ბაგრატიონ-დავითაშვილის, ასევე სტუ-ს საერთაშორისო ურთიერთობათა და სტანდარტების სამსახურის წარმომადგენელის ბორის გითოლენდიას გერმანიაში, კარლსრუეს გამოყენებითი მეცნიერების უნივერსიტეტში ოფიციალური ვიზიტით მივლინების საკითხი.

საბჭომ ერთხმად დაუჭირა მხარი დეკანის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას.

დაადგინეს: პროფესორი ვახტანგ ბალავაძე და პროფესორი ალექსანდრე ბაგრატიონ-დავითაშვილი ასევე, სტუ-ს საერთაშორისო ურთიერთობათა და სტანდარტების სამსახურის წარმომადგენელი ბორის გითოლენდია მივლინებულ იქნან გერმანიაში, კარლსრუეს გამოყენებითი მეცნიერების უნივერსიტეტში 2018 წლის 24 ივნისიდან 28 ივნისამდე და დაფინანსებულ იქნას სამშენებლო ფაკულტეტის ბიუჯეტიდან.

დადაგენილება მიღებულ იქნა ერთხმად.

2.რამაზ ჟღენტს დაევალოს რემონტის დამთავრების შემდეგ მეხუთე სართულის დერეფნის კედლების ფოტოსურათებით მოწესრიგება.

3.სამშენებლო ფაკულტეტის მდივანს, პროფესორ რ. იმედაძეს დაევალოს კონტროლი გაუწიოს ფაკულტეტის საიტის გამართულ მუშაობას.

მოისმინეს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის პროფესორ მ. ჯავახიშვილის ინფორმაცია დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „სამხედრო ინჟინერიის“ მოდიფიცირების შესახებ. მომხსენებელმა საბჭოს მოახსენა, რომ

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „სამხედრო ინჟინერიაში“ განხორციელდა ტექნიკური ხასიათის ცვლილებები, კერძოდ:

- პროგრამის სატიტულო გვერდზე მიეთითა პროგრამის აკადემიურ საბჭოზე დამტკიცების თარიღი;
- საგანმანათლებლო პროგრამაში და სასწავლო კურსებში დაზუსტდა და განივრცო სწავლის შედეგები / კომპეტენტურობები. ასევე გასწორდა გარკვეული ტექნიკური უზუსტობები.
- დაკორექტირდა პროგრამაზე დაშვების წინაპირობა;
- პროგრამის აღწერის ველში დაზუსტდა გარკვეული საკითხები;
- პროგრამის საგნობრივი დატვირთვის ველში გასწორდა სასწავლო კურსის „სამხედრო ინჟინერია - ტერიტორიის საინჟინრო მომზადება თავდაცვისათვის და საბრძოლო მოქმედებებისა და ოპერაციების სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფის“ დაშვების წინაპირობის ტექნიკური ხარვეზი.
- პროგრამის სწავლის შედეგების რუკაში სასწავლო კურსების სწავლის შედეგების შესაბამისად გასწორდა ტექნიკური ხარვეზები.

აზრი გამოთქვეს: პროფესორებმა: დ. გურგენიძემ, დ. გორგიძემ, ე. მემმარიაშვილმა, ზ. გვიშიანიმა.

დაადგინეს: ეთხოვოს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს დაამტკიცოს ფაკულტეტის საბჭოზე განხილული საგანმანათლებლო პროგრამა „სამხედრო ინჟინერია“ მოდიფიცირებული სახით.

დადაგენილება მიღებულ იქნა ერთხმად.

სამშენებლო ფაკულტეტის

საბჭოს თავმჯდომარე

პროფესორი

/დ. გურგენიძე/

საბჭოს მდივანი

პროფესორი

/რ. იმედაძე /

